ზუგდიდი

სადაც ინვესტირება ყოველთვის წარმატებულია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საინვესტიციო პროფილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

With funding from
Austrian Development Cooperation

UNDP

საინვესტიციო პროფილი მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს (LDA Georgia) მონაწილეობით, პროექტის "რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში - ფაზა 2 (FRLD 2)" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.

LDA GEORGIA

AYEG
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრეს პრიორიტეტს დღეს, როგორც არასდროს, ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში არსებული დიდი ეკონომიკური პოტენციალი, შესაძლებლობები და ადგილობრივი ხელისუფლების მზაობა, დასახული მიზნების მიღწევის საფუძველია.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიმდინარე წელს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების შედეგად, მუნიციპალიტეტში სწორი პრიორიტეტები გამოიკვეთა, კერძოდ, ინვესტორებისათვის ხელსაყრელი, კომფორტული და მომგებიანი საინვესტიციო გარემოს შეთავაზება, ტურისტული რესურსების პოპულარიზაცია და ადგილობრივი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გააჩნია არა მხოლოდ სატრანზიტო დანიშნულებით განვითარების პერსპექტივა, არამედ ტურისტულად მიმზიდველ დანიშნულების ადგილად ჩამოყალიბების მაღალი პოტენციალი, რომელიც ხელს შეუწყობს და განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და ინფრასტრუქტურულ განვითარებას. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი ბიზნესების განვითარებას, ასევე მსხვილი ინვესტორების დაინტერესებას და მათთვის შესაბამისი ბიზნეს გარემოს შექმნას. მუნიციპალიტეტის მდიდარი ეკონომიკური შესაძლებლობები, მრავალფეროვანი გარემო, ხელსაყრელი მდებარეობა - ეს ის ძირითადი და მთავარი შეთავაზებებია, რაც სწორი და მომგებიანი ინვესტიციის განხორციელების გარანტია!

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი (გეგა) შენგელია

ინვესტიციების განხორციელების 9 ძირითადი გარემოება



რატომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი?

1 სტრატეგიული მდებარეობა - შავი ზღვის სანაპიროსთან, პორტთან და სტრატეგიულ სატრანსპორტო არტერიებთან სიახლოვე

2 უსაფრთხო და ხელსაყრელი ბიზნეს გარემო - ინვესტირების მოქნილი სისტემა

3 ანაკლიის პორტისა და ანაკლიის, როგორც რეგიონული ბიზნესჰაბის განვითარების პოტენციალი

4 წყლის რესურსების რეკრეაციული პოტენციალი - თერმული და მტკნარი წყლების აუთვისებელი რესურსი

5 მიმზიდველი აგროკლიმატური პირობები და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება სოფლის მეურნეობაში

6 კვალიფიციური კადრების ადგილზე გადამზადების შესაძლებლობა

7 მიმზიდველი ტურისტული გარემო და საერთაშორისო ვიზიტორების ნაკადის მზარდი ტენდენცია

8 დინამიურად მზარდი ინფრასტრუქტურა

9 სამთო კურორტთან (მესტია) დამაკავშირებელი მთავარი მაგისტრალი

ისტორია და მდიდარი ტრადიციები

- 1634–1657 წ.წ - ოდიშის სამთავროს სატახტო ქალაქი
- XVII საუკუნე - დადიანების სასახლის მშენებლობა
- 1636 წელი - იწყება ზუგდიდში ვაჭრობის განვითარება
- 1852 წელი - მოსკოვის გამოფენაზე ზუგდიდის აბრეშუმსახვევი საწარმოს პროდუქტმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა
- 1845 წელი - ზუგდიდში ცხოვრობდა 55 ხელოსანი
- 1936 წელი - აღმოჩენა, რომელმაც დაადასტურა კავკასიაში ნეოლითური კულტურის არსებობა
- განძების სახით აღმოჩენილია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ფულადი ნომინალის „კოლხური თეთრების“ კოლექციები, რაც ანტიკურ პერიოდში ფულად-სასაქონლო ურთიერთობის მაღალ დონეზე მეტყველებს

მუნიციპალიტეტის ზოგადი მახასიათებლები

მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მოსახლეობა.

მოსახლეობის რაოდენობა - **101 815**

ქალი - **52.3%**
კაცი - **47.7%**
ახალგაზრდები - **34%**

შინამეურნეობების რაოდენობა **- 25 302**

მუნიციპალიტეტის რუკა

ფართობი - **692** კმ.^{2}

გეოგრაფია და კლიმატური პირობები

ხელსაყრელი კლიმატური პირობები მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის

- ახასიათებს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა
- დაქაობებული ვაკე-დაბლობი; ქალები, დაბალი ვაკე-დაბლობი ბორცვიანი მთისწინეთი და კარსტული სერი
- გამოირჩევა თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით
- საშუალო წლიური ტემპერატურა
  ყველაზე ცხელ თვეს (აგვისტო)+22,7°C
  ყველაზე ცივ თვეს (იანვარი) +4,9°C

ადგილმდებარეობა და ბაზარზე წვდომა

- წარმოადგენს რეგიონის ადმინისტრაციულ, კულტურულ და სავაჭრო ცენტრს;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო და შიდა მნიშვნელობის მაგისტრალები;
- ანაკლიის პორტი და მისი პერსპექტიულობა;
- ფოთის თავისუფალი სავაჭრო ზონის შესაძლებლობების გამოყენების პოტენციალი.

მაგისტრალებთან სიახლოვე:

E60 საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა;
6 შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის რკინიგზის ხაზი;

შესაძლებელია როგორც სამგზავრო გადაყვანა, ასევე ტვირთის გადაზიდვები

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი - 90 კმ;

დაშორება დიდ ქალაქებთან:

ქ. თბილისი - 339 კმ;
ქ. ქუთაისი - 90 კმ;
ქ. ფოთი - 58 კმ;

ფოთის პორტი - 59კმ.

ზუგდიდი
აფხაზეთი
რუსეთი
შავი ზღვა
თურქეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი
თბილისი
ანაკლია
ფოთის პორტი
ბათუმის პორტი
ბათუმის აეროპორტი
ოჩამჩირის პორტი
ოჩამჩირე
ტყვარჩელი
ლენტეხი
ცაგერი
ონი
ამბროლაური
ამბროლაურის აეროპორტი
ჯავა
ცხინვალის რეგიონი
ცხინვალი
ახალგორი
ზნაური
ქიათურა
ტყიბული
საჩხერე
ზესტაფონი
ხარაგაული
ბაშური
ბორჯომი
ბაღდათი
ვანი
ჩიხა
ბოლნისი
დმანისი
ნინოწმინდა
ახალქალაქი
ასპინძა
ახალციხე
ადიგენი
ხულო
ქედა
შუახევი
ზელენაური
ქობულეთი
ზუგდიდი
ფოთი
ანაკლია
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

განათლება

- ხელმისაწვდომი უმაღლესი და პროფესიული განათლება;
- უნივერსიტეტი სასათბურე მეურნეობითა და ინოვაციური სათბურით, სადაც გამოიყენება განახლებადი ენერგიის წყაროები
- ფუნქციონირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ყოველწლიურად პროფესიულ განათლებას ეუფლება 500-ზე მეტი სტუდენტი
- მოქმედია ორი პროფესიული კოლეჯი - ისწავლება 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ჯანდაცვა

განვითარებული სამედიცინო მომსახურება და სწრაფი რეაგირება

- რეფერალური ჰოსპიტალი 570 პერსონალით
- რუხის საუნივერსიტეტო კლინიკა; ინფექციური და ტუბსაწინააღმდეგო სავადმყოფოები
- 14 პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი
- 40 სასოფლო ამბულატორია
- სტომატოლოგიური კლინიკა და 30 სტომატოლოგიური კაბინეტი
- ფუნქციონირებს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი

ინფრასტრუქტურა

მუდმივად უმჯობესდება საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა

- სრულად უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდება
- მოწყობილია წყალმომარაგების და წყალარინების ახალი სისტემები
- ქალაქის მოსახლეობა სრულად არის უზრუნველყოფილი 24 საათიანი ხარისხიანი სასმელი წყლითა და მოწესრიგებულია საკანალიზაციო სისტემა
- გამართულია საგზაო ინფრასტრუქტურა
- ადმინისტრაციული ერთეულების უმრავლესობა გაზიფიცირებულია
- სრულად არის დაფარული მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით

მიწის აქტივი და გამოყენების პოტენციალი

დივერსიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება და გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების მაღალი პოტენციალი.

- იჯარით არის გაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1,968,123 ჰა.;
- გამორჩეულია მეგრული ვაზის ჯიშები და სანერგე მეურნეობები;
- უძველესი, ტრადიციული, სტრატეგიული მნიშვნელობის - კაკლოვანი კულტურები, ძვირფასი ჯიშები და მაღალი სასაქონლო თვისებები;
- გავრცელებულია სიმინდის კულტურა და ფეიხოა - პირველადი წარმოება იძლევა გადამამუშავებელი მეურნეობის შექმნის შესაძლებლობას;
- სწრაფად მზარდი ლურჯი მოცვის წარმოება და მაღალი საექსპორტო პოტენციალი;
- სხვა ტრადიციული პროდუქტები: სუბტროპიკული კულტურები, თაფლი და ფუტკრის პროდუქტები, კივი, ციტრუსი და დაფნა.

მიწის მთლიანი ფართობი 35,660.55 ჰა.

- 7,262 ჰა. სახნავი
- 24,010 ჰა. მრავალწლიანი ნარგავები
- 4,284 ჰა. საძოვარი, სათიბი



არსებული წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები

მუნიციპალიტეტი მდიდარია წიაღისეულითა და ბუნებრივი რესურსით;

დასახელება	მარაგის ოდენობა
ტორფი	4,436,000 ტ. აგრონომიული ნედლეული
სააგურე თიხა	920,000 $მ^3$ სამშენებლო მასალები
ქვიშა-ხრეში	3,800,700 $მ^3$ სამშენებლო მასალები
თერმული წყალი	14,000 $მ^3$/ დღე-ღამეში



ზუგდიდის ტურისტული პოტენციალი

მუნიციპალიტეტი მრავალმხრივი ტურისტული შესაძლებლობებით;
ზუგდიდის პოტენციალი გახდეს ტურისტული ჰაბი;
დააკავშიროს ერთმანეთს ზღვა და მთა საინტერესო ტურისტული მარშრუტებით;

- დადიანების კომპლექსი - დაცულია 82 000-მდე ექსპონატი, მათ შორის, ნაპოლეონ I-ის ბრინჯაოს ნიღაბი, ღვთისმშობლის კვართი, უნიკალური ბოტანიკური ბაღი;
- ანაკლია - განმუხურის განახლებული საკურორტო ზონა;
- კოლხეთის ეროვნული პარკი და მდ. ქურია;
- გამორჩეული მეგრული გასტრონომია;
- კოლხეთის უძველესი კულტურა;
- უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლები და მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკე ადგილები;
- ქარბტენიანი კოლხეთის დაბლობი და მისი იშვიათი ბუნება;
- შავი ზღვის აკვატორია და განვითარებადი საკურორტო ზონები.

ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებები:

- **ბალნეოლოგიური ტურიზმი**
  ცაიშის ბალნეოლოგიური კურორტი
- **ისტორიულ - ეთნოგრაფიული ტურიზმი**
  დადიანების სასახლეთა კომპლექსი
- **რელიგიური ტურიზმი**
  ზუგდიდში დაცულია რელიგიური სიწმინდეები
- **ეკო-ტურიზმი**
- **აგრო ტურიზმი**
- **სამეცნიერო ტურიზმი**
  ფრინველებზე დაკვირვება
- **სათავგადასავლო და ექსტრემალური ტურიზმი**
  საცხენოსნო, სამონადირეო ტურიზმი, სამოყვარულო თევზჭერა

დაბალი და სამართლიანი გადასახადები

- რეინვესტირებაზე ორიენტირებული მოგების გადასახადი - 0% ან 15%;
- საშემოსავლო გადასახადი - 20%;
- დამატებული ღირებულების გადასახადი -18%;
- ქონების გადასახადი - 1%;
- იმპორტის გადასახადი - 0%, 5% ან 12% ;
- დივიდენდი – 5%.
- საპენსიო შენატანი - 6% (2% დამსაქმებელი, 2% დასაქმებული, 2% სახელმწიფო)
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები 55 ქვეყანასთან.

მოსაკრებელი / გადასახადი	ოდენობა
ბუნებრივი აირი	0,56 ლარი კუბურ მეტრზე
ელექტროენერგია	0,14 - 0,21 ლ. კვტ/სთ
წყალმომარაგება	4,307 ლარი კუბურ მეტრზე
ნარჩენების მართვის მოსაკრებელი	25 ლარი
მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული მოსაკრებელი	1 - 4 ლარი 1 კვ.მ-ზე
ქონების გადასახადი (დიფერენცირებულია ზონების მიხედვით)	0,12 – 0,36 ლარი 1 m^2 მიწაზე 0,24 ლარი 1 m^2 მიწაზე 77 ლარი 1 ჰა; 20 ლარი 1 ჰა;16 ლარი 1 ჰა;
სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი	გამოითვლება სპეციალური ფორმულით კონკრეტული შემთხვევისთვის

მიმდინარე და დაგეგმილი მსხვილი პროექტები

- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე კაფე-რესტორნების რეაბილიტაცია
- მუნიციპალური ავტობუსების სადგომისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების მოწყობა
- 21 ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია
- ქალაქის ქუჩების საავტომობილო გზის კაპიტალური რეაბილიტაცია
- დრამატული თეატრის რეაბილიტაცია და თანამედროვედ აღჭურვა
- სპორტული კომპლექსის და ოლიმპიური სტანდარტების საცურაო აუზის მშენებლობა
- ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა

ზუგდიდში არსებული ბიზნეს სუბიექტები

იზრდება გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა და ადგილობრივი ნედლეულის ათვისების მაჩვენებელი;

მრავალფეროვანია საწარმოების საქმიანობის არეალი;

- თხილის გადამამუშავებელი საწარმოები;
- საშენი მასალებისა და ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოები;
- ავეჯის საწარმოები;
- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოება (თხილი, კივი, ფეიხოა, მოცვი, სიმინდი, დაფნა, თაფლი) და სასათბურე მეურნეობები;
- განვითარებულია ჩირის წარმოება;
- მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საბუღალტრო, სააუდიტო და საგადასახადო კონსულტირების ფირმები;
- კომპიუტერული ტექნიკის რემონტის და პროგრამული უზრუნველყოფის ფირმები;
- მაუწყებლობს ადგილობრივი ტელევიზია და ორი რადიოსადგური;
- გამოიცემა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები;
- წარმოდგენილია ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა ბანკის ფილიალი და რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია;
- 2 ტურისტული სააგენტო, 15 სასტუმრო, 80 საოჯახო ტიპის სასტუმრო, 40 კაფე-ბარი და რესტორანი.

განხორციელებული ინვესტიციები და სახელმწიფო მხარდაჭერა

- გაიხსნა ხილის გადამამუშავებელი, საშრობ-სასაწყობე საწარმოები

  "გემუანი" ხილის საწარმო ($ 1 400 000 ინვესტიცია):

  სახელმწიფო პროგრამა „ერთიანი აგროპროექტი";

  საექსპორტო ბაზრები - ახლო აღმოსავლეთი,
  არაბთა გაერთიანებული საამიროები და ევროპა.

- ხელი ეწყობა სასოფლო და არასასოფლო ბიზნესის განვითარებას

  აწარმოე საქართველოში: სათბურები, ბეტონის წარმოება, თხევადი საპნებისა და სარეცხი საშუალებების წარმოება, სასტუმროები;

  შეღავათიანი აგროკრედიტი: თხილის გადამუშავება, სათბურები, შესაფუთი მასალის წარმოება;

  დანერგე მომავალი: ლურჯი მოცვის პლანტაციები

თანამშრომლობა ბიზნესთან

- მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს მცირე და საშუალო მეწარმეებს, დარგობრივი კლასტერებისა და ასოციაციების ჩამოყალიბებას.

  ტექნო პარკი და ინოვაციების ცენტრი
  სისტემატურად ტარდება პროგრამირების, დიზაინის, მეწარმეობისა და სხვადასხვა ბიზნეს მიმართულების ტრენინგები

  ბიზნესის მხარდამჭერი პლატფორმა
  ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო–სამრეწველო პალატა

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო

- საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ჩარჩო;
- ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების მარტივი პროცედურები;
- ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის მოხერხებული პირობები;
- სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა;
- თანამშრომლების დასაქმების მოქნილი პირობები.

დაბალი დანახარჯები ბიზნესისთვის

- ადვილად ადმინისტრირებადი საგადასახადო სისტემა და დავების მოგვარების მოქნილი სტრუქტურა;
- ბიზნესის დაწყების სიმარტივე;
- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან სიახლოვე და ტრანსპორტირების დაბალი დანახარჯები;
- ადგილზე ბიზნეს პროდუქტების/სერვისების მრავალფეროვნება და ნედლეულზე მაღალი ხელმისაწვდომობა.

უძრავი ქონების ხელსაყრელი ფასები

უძრავი ქონების ბაზარი - 1 m^2 მიწის ფასი:

1 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:

ქალაქის ცენტრალური ტერიტორია - 750-800 ლარი;
პერიფერიები - 250-300 ლარი;

2 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:

ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრალური ტერიტორია - 50-60 ლარი;
სოფლები - 10-30 ლარი;

3 იჯარა:

ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე კომერციული ფართი - 100-120 ლარი,
საოფისე 20-25 ლარი;

4 შენობის შეძენა:

ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე - 900-1000 ლარი;
პერიფერიები - 550-700 ლარი;

სახელმწიფო სერვისები ბიზნესისთვის

იუსტიციის სახლი და საზოგადოებრივი ცენტრები

- ერთი ფანჯრის პრინციპი;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყველა სახის მომსახურება (რეგისტრაციები, ნებართვები, ლიცენზიები და ა.შ.);

შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრი:

- გადამხდელად რეგისტრაცია, სასაქონლო ოპერაციებში მხარდაჭერა, საქონლის /მომსახურების მიწოდების/გადაადგილების დოკუმენტაციის მომზადება და სხვა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატა:

- ბიზნესის ინტერესების დაცვა, მეწარმეებისთვის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა; საქონლის პასპორტი, იურიდიული კონსულტაცია; საქექსპერტიზა, არბიტრაჟი;
- ინფორმაცია მიმდინარე სამთავრობო და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შესახებ და კონსულტირება პროგრამებში მონაწილეობის პროცედურის შესახებ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური:

- კონსულტაციები სავარგულების დამუშავების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, ცხოველთა მოვლის, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებებით;
- ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების შესახებ და ხელშეწყობა სხვა აგრარული მიმართულებებით.



საქართველოში ინვესტირების უპირატესობა

- ქვეყანა, სადაც ევროპა ხვდება აზიას
- წვდომა 2,3 მილიარდიან ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე
- ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და DCFTA
- მე-7 ადგილი ბიზნესის კეთების რეიტინგში - პირველი ევროპის ქვეყნებიდან
- მე-6 ადგილი უსაფრთხო ქვეყნების სიაში
- სამუშაო ძალისა და კომუნიკაციების დაბალი დანახარჯები
- მარტივი და დაბალი საგადასახადო ტვირთი სახელმწიფო შეღავათებითა და ბიზნესის წახალისების ინსტრუმენტებით
- ქონების გადასახადი - არ აღემატება 1%-ს
- ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ხელმოწერილია 33 ქვეყანასთან, ქვეყანა 1992 წლიდან წევრია ICSID შეთანხმების

ბიზნეს მხარდამჭერი სახელმწიფო შესაძლებლობები

სახელმწიფო ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციებსა და ექსპორტს

აწარმოე საქართველოში

- ინდუსტრიული მიმართულება;
- სასტუმრო ინდუსტრია;
- მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
- გადაიღე საქართველოში;
- საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი;
- ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია;
- ტურისტული სერვისების ინდუსტრია;

საპარტნიორო ფონდი

- მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და ხელშეწყობაზე;
- კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და ტურიზმი

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

- შეღავათიანი აგრო კრედიტი და აგრო დაზღვევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ხელშეწყობა;
- ბაღებისა და სანერგე მეურნეობების მოწყობის მხარდაჭერა და სხვა სასოფლო სამეურნეო საქმიანობის გააქტიურების სტიმულები.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

- ინოვაციების შექმნის მხარდაჭერა ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის; ტექნოპარკები და ინოვაციების ცენტრები;
- ფაბლაბები - მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო, რომელიც გთავაზობთ ციფრულ ფაბრიკაციას.
- ბიზნეს ინკუბატორი, IT ტრენინგები, ინოვაციური ბანაკი, სტარტაპ საქართველო და სხვა წარმატებული პროექტები.

1.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა

მდებარეობა

ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი N19,
შოთა რუსთაველი, N89
მდებარეობს დასახლებულ პუნქტში
გამართულია საგზაო ინფრასტრუქტურა,
ხელმისაწვდომია წყალი, ბუნებრივი აირი,
და ელექტროენერგია;

ფართობი - 2 359 კვ.მ.

საკადასტრო კოდი 43.31.49.015.01.519

მესაკუთრე

ადგილობრივი ხელისუფლება

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა

მდებარეობა

ქ. ზუგდიდი, ქავქავაძის ქუჩა
მდებარეობს დასახლებულ პუნქტში
გამართულია საგზაო ინფრასტრუქტურა,
ხელმისაწვდომია წყალი, ბუნებრივი აირი,
და ელექტროენერგია;

ფართობი - 8 917 კვ.მ.

საკადასტრო კოდი 43.31.42.366

მესაკუთრე

ადგილობრივი ხელისუფლება

3. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა

მდებარეობა

სოფ. ანაკლია;
მდებარეობს დასახლებულ პუნქტში
გამართულია საგზაო ინფრასტრუქტურა,
ხელმისაწვდომია წყალი, ბუნებრივი აირი,
და ელექტროენერგია;

ფართობი

შენობა ნაგებობის საერთო ფართი 1 589,52 კვ.მ.
მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული
შენობა ნაგებობა 5 585 კვ.მ.

საკადასტრო კოდი 43.30.47.129

მესაკუთრე

ადგილობრივი ხელისუფლება

4. სოფელი ჭითაწყარი

მდებარეობა

მდებარეობს დასახლებულ პუნქტში
გამართულია საგზაო ინფრასტრუქტურა,
ხელმისაწვდომია წყალი, ბუნებრივი აირი,
და ელექტროენერგია;

ფართობი - 96 179 კვ.მ

საკადასტრო კოდი 43.14.44.753

მესაკუთრე

ცენტრალური ხელისუფლება

განვითარების პოტენციური მიმართულება

სატბორე მეურნეობა

აუქციონის სავარაუდო საწყისი ფასი / 1 452 700 ლარი

დამატებითი ინფორმაცია:

საინვესტიციო გარემო და შესაძლებლობები საქართველოში (2019):
http://www.enterprisegeorgia.gov.ge

სასარგებლო ბმულები

Invest in Georgia	www.investingeorgia.org
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	www.economy.ge
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	www.mof.ge
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	www.mepa.gov.ge
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	www.mrdi.gov.ge
საპარტნიორო ფონდი	www.fund.ge

საინფორმაციო წყაროები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კონტაქტი:
www.zugdidi.mun.gov.ge
მის: 2100, ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #90
ცხელი ხაზი: 1308 100 (0415) 25 05 07;
(0415) 25 01 20;
info@zugdidi.gov.ge